აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №08/2006

13 ივლისი 2006 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 30 მარტის №02/2006 დადგენილებით დამტკიცებული "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულებაში" შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

ა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. საკონკურსო კომისიის საქმიანობის მიზანია უსკოს აპარატში დასაკავებელი ვაკანტური თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან კონკურსანტის შესაბამისობის შეფასება და შესაბამისი პირის კონკურსის წესით შერჩევა."

ბ) მე-7 მუხლის 3-ე პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) კონკურსანტის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პროფესიული თვისებების შეფასება."

გ) მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. უსკოს თავმჯდომარე კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას კომისიის მიერ შერჩეული პირის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის ან დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ."

დ) მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კონკურსანტი თანამდებობაზე დაინიშნება, თუ იგი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში უსკოს თავმჯდომარის სახელზე წარადგენს:

ა) წერილობით თანხმობას თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ;
ბ) შრომის წიგნაკს (თუ აქვს);
გ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;
დ) სამედიცინო დასკვნას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
ე) ქონებრივი დეკლარაციის ამსახველ ცნობას;"

ვ) მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:
„4^1. ცალკეულ შემთხვევაში კონკურსანტის სპეციალური ცოდნის შემოწმების მიზნით უსკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შეიძლება მოწვეულ იქნეს შესაბამისი სპეციალისტი (სპეციალისტები)."

ზ) მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. საკონკურსო კომისიის პირველი სხდომა ტარდებს უსკოს აპარატის მოხელეთა კონკურსისთვის საჭირო საბუთების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 21 დღისა."

თ) დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსი 12^1, 12^2, 12^3, 12^4, 12^5 მუხლები:
"მუხლი 12^1. მოხელეთა რეზერვი
მოხელეთა რეზერვის მიზანს წარმოადგენს:
1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა კანდიდატების შერჩევა;
2. სამსახურიდან განთავისუფლებული პირებისთვის სამსახურის ახალი ადგილის გამოძებნა.

მუხლი 12^2. რეზერვში ჩარიცხულ მოხელეთა აღრიცხა
1. რეზერვში ჩარიცხულ მოხელეთა აღრიცხვას აწარმოებს უმაღლესი საარჩევნო კომისიის საკონკურსო კომისია.
2. რეზერვში ინახება ჩარიცხულ მოხელეთა საი და მათი ნამსახურების ნუსხები.

მუხლი 12^3. რეზერვში ჩარიცხვას დაქვემდებარებული პირები
რეზერვში ირიცხება:
ა) მოხელე, რომელიც სამსახურიდან გაანთავისუფლეს შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო;
ბ)კონკურსანტი, რომელიც საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული და წარდგენილი იქნა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად უსკოს თავმჯდომარის წინაშე დასანიშნად, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ დაინიშნა.

მუხლი 12^4. რეზერვში ჩარიცხვის გაფორმება

1. მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევაში მისი სასამსახურო ნუსხა და სხვა დოკუმენტების ასლები დაუყონებლივ ეგზავნება საკონკურსო კომისიას.
2. თუ სამსახურიდან განთავისუფლებელ მოხელეს სურს რეზერვში ჩარიცხვა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტს უნდა დაერთოს მოხელის განცხადება რეზერვში ჩარიცხვის შესახებ და შრომის წიგნაკი.

მუხლი 12^5. თანამდებობაზე დანიშვნა რეზერვიდან
1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც საჭიროებს მოხელეს, საკონკურსო კომისიას აცნობს ვაკანტურ თანამდებობის არსებობის შესახებ თანამდებობის დასახელების და მის დასაკავებლად წაყენებული მოთხოვნების მინიშნებით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შუამდგომლობის მიღებიდან სამი დღის განმავლობაში საკონკურსო კომისია უსკოს თავმჯდომარეს უგზავნის მოთხოვნებს, აგრეთვე მათი ნამსახურების ნუსხებს.
3. უსკოს თავმჯდომარე თანამდებობაზე ნიშნავს შესაბამის კანდიდატს ამ დებულების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.”

2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია